№ 269
სამშაბათი, 20 დეკემბერი 1894

1877--1894

# ივერია

№ 269
სამშაბათი, 20 დეკემბერი 1894

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერია“
გამოვა 1895 წელსაც
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი ს. გ. წერეთელი ამით აუწყებს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა, რომ, კანონთა კრებულის მე-IX ტომის 83 მუხლის ძალით, 22 დეკემბრისათვის დანიშნულია საგანგებო კრება, რათა მათ იმპერატორებითი უდიდებულესობათა ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოოზ ალექსანდრეს ძისა და ალექსანდრა თეოდორეს ასულის ქორწინების მისალოცად დეპუტაცია იქმნას ამორჩეული.

გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. წერეთელი

(2—6.—1)

## ახალი ამბავი

—

*** გუშინ-წინ, 18 დეკემბერს, სათავად-აზნაურო ბანკში შესდგა კრება მომავალი საურთი-ერთო საკრედიტო საზოგადოებისა. ამ კრებას კერძო ხასიათი ჰქონდა და ოფიციალურად შეკრება გადასწყვიტეს მაშინ, როდესაც დამტკიცებული წესდება პეტერბურგიდგან მოვა.

ზემოხსენებულ საკრედიტო დაწესებულებას ერთი ახალი თვისება ეძლევა, რომლითაც იგი სხვა ამ გვარ დაწესებულებათაგან განსხვავდება: ეს ის არის, რომ მეურნეთ ღონის ძიება ექმნებათ სამეურნეო ნაწარმოებს დაწინდებით 9 თვის ვადით სესხი აიღონ. წესდების ძალით საზოგადოება მაშინ დაიწყებს მოქმედებას, როდესაც 50 წევრზედ არა ნაკლები იქნება და საწევრო ფული 25,000 მანეთზედ ნაკლები არ შესდგება. ეს ორი პირობა უთუოდ 6 თვეში უნდა ასრულდეს.

*** ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი შალიკოვი გუშინ ტფილისს ჩამოვიდა.

*** ტფილისის გუბერნატორის თხოვნისა გამო, გუშინ ქალაქის მოურავმა იზმაილოვმა წარუდგინა გუბერნატორს, თავ. შარვაშიძეს, ტფილისის „ლომბარდის“ წესდების პროექტი და აგრეთვე წესდება გამსესხებელ კასსისა.

*** შაბათს ღამით საბჭოს მიერ ამორჩეულ კომისიას ქალაქის მიწების საწარმოებლად, ქალაქის გამგეობის წევრებითურთ, სხდომა ჰქონდა განსახილავად ქალაქის გამგეობის პროექტისა ქალაქის მიწების იაფ-ფასად იჯარით მიცემისა. ამ სხდომაზე ქალაქის ინჟენერმა მელიქ-ადამოვმა წარუდგინა პროექტი ქალაქის მიწებზე მუშათათვის სახლების აშენებისა, როგორც საზღვარ გარედ აშენებენო.

*** წყალზედ დამხსნელ-საზოგადოების მმართველობის განკარგულებით, კუკიის ხიდის ქვეშ მტკვარზე დაარსდა დროებით სადგური, სადაც უნდა იმყოფებოდეს ვოდოპიანოვი თავისის ნავით.

*** პოლიცია ამ ჟამად დაეძებს 11-ს დეკემბერს დაკარგულს ბავშვს, გიორგი პაპიაშვილს, რომელიც გამოსულა თავისს დედის სადგომიდამ (ავლაბარში, კახეთის ქუჩა ჯანდაღოვის სახლი).

*** დღეს, ოც დეკემბერს, $7^1/_2$ საათზედ, დანიშნულია კრება საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისა. კრებამ უნდა ამოირჩიოს წარმომადგენელნი კავკასიის საფილოქსერო კომიტეტისა, მოისმინოს ბ-ნ ა. ა. ქალანთარის მოხსენება „საბუნებისმეტყველო და სამეცნიერო კრებათა წესდების შემუშავების“ შესახებ, და ვ. ი. ლისნევსკისა „ტყეების დაცვის კანონის კავკასიაში შემოღების გამო.

*** იმ კომისიასა, რომელიც სახელმწიფო თეატრის აშენების საქმეს განაგებს, უკვე გადაუწყვეტია ამ თეატრის დეკორაციის და მანქანებით სცენის მოწყობა მიენდოს მოსკოვის დიდის თეატრის დეკორატორს ბ-ნს ვალცს, რომელიც უკვე დეპეშით მოუწვევიათ ტფილისში პირობათა წერილზედ ხელის მოსაწერად, (ნოვ. ობოზრ.)

*** გაზ. „ნოვ. ობოზ.“ ს სიტყვით, ქუთაისში მოდის ფინანსთა სამინისტროს მოხელე ბ-ნი ჟუკოვსკი, რომელმაც ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკის საქმეები და მოქმედება უნდა დაათვალიეროს. ის 2,000 მ., რომელიც ბ-ნს ჟუკოვსკის დასჭირდება საგზაოდ ქუთაისის ბანკის თანხიდგან უნდა მიეცეს.

*** როგორც სჩანს ქველ-მოქმედებას დაბალს ხალხშიაც მოუკიდნია ფეხი. ამას წინად. ხონში გარდაიცვალა მე-2 გილდიის ვაჭარი პავლე გოჯასპირის ძე რუხაძე, რომელსაც 100 მანეთი უანდერძებია ხონის დედათა-სასწავლებლისათვის და 100 მანეთიც ქვიტირის სასწავლებლისათვის.

*** ქვემო-მაჩხაანი: ამზადებენ შენობას, სადაც მომავალ იანვარში სახალხო დეპოს მოქმედება დაიწყება და შემდეგ სასოფლო ბანკიც მიემატება. საწევრო ფულის შეკრება მდგომარე დეკემბრის პირველიდგან დაიწყო. დეპოს სამზადისით გახარებული ქვემო ქიზიყის ხალხი ყველგან ამას მოუბნობს: „რა დღე იქნება, ერთია ზღვის-ოდენა წრუპელა ვაჭარ-ჩარჩებს დავეხწივნეთო„. ეხლავ გამოჩნდნენ სიღნაღშიაც და აქა-იქ სოფლებშიაც მარტო თავიანთი ჯიბე-კუჭისთვის თავდადებულნი მსახურნი იუდა-ისკარიოტელნი, რომელნიც რაღაც სიცრუე-ჭორებს ავრცელებენ დეპო-ბანკის შესახებ,—ნამეტნავად ის ქვეყნის მავნე ვაჟბატონები, რომელთაც დიდი ხანია გული აქვთ დალახვრული ხსენებულის საქმის გამგეობის თავმჯდომარის სამართლიანის სიტყვებით. იმედია, გამგეობა თავს დასდებს ამ საქვეყნო საკეთილო საქმისათვის, ყველა ბოროტება-დაბრკოლებას დაამარცხებს და ისე იმოქმედებს, რომ მისის მაგალითით წახალისებულები მალე საქართველოს სხვა კუთხეებშიაც მოიწადინებენ სახალხო დეპო-ბანკის დაარსებას ქვეყნის კეთილ დღეობისათვის.

*** აჭარის წყალი (ბათუმის ოლქი): 14 დეკემბერს, ბათუმიდგან მომავალს დელიჟანში ისხდნენ ათამდის კაცი; სამის ვერსტის მანძილზედ რომ დაუახლოვდენ აჭარის წყალს დელიჟანი ხალხით და ცხენებით გადაიჩეხა ჭოროხის ფრიალო კლდეზედ და გორვით წავიდნენ მდინარე ჭოროხისკენ, ხოლო ერთის ნაბიჯის მანძილზედ ბუჩქმა შეამაგრა. საცოდავი საყურებელი იყო ხალხის ყვირილი და ცხენების ჭიხვინი. კაცები ყველანი დაშავებულნი არიან და ორის გადარჩენა საეჭვოა. ერთი ცხენი იქვე მოკვდა, დანარჩენი სამი ისთე დაშავდნენ, რომ არაფრად გამოდგებიან.

თვე ნახევარი არის, რაც ჩვენში გაზაფხულის მსგავსი ამინდები სდგას და აქაური მოხუცებულები გვაჯერებენ, რომ ეს ზამთარი აგრე გაივლისო, მაგრამ მაისში და ივნისში სეტყვა და წვიმები მოვა და მიწის მოსავალი ნაკლები იქმნებაო.

*** ჭალადიდი (სენაკის მაზრა): აქ ქურდობა და გაძარცვა ძლიერ გახშირებულია. ღამე არ გაივლის ისე, რომ არ გაქურდონ ვინმე. მშიერებით აღვსილია ეს უდაბური ტყე. ათას კაცამდის მუშა არის და ვინ იცის, როგორი კაცები ურევია ამ მუშებში. ადგილობრივი სასოფლო პოლიცია ჯერ თვალითაც არ გვინახავს როგორია და ან რა გავლენა აქვს ამ ავაზაკებზედ. ერთის სიტყვით, ქურდებს თავისუფლება აქვს მიცემული და თავისს ჩვეულებას არ იშლიან. ადგილი ხელს უწყობს, რადგანაც ჭალადიდი ძლიერ დიდი ტყე არის.

15 დეკემბერს, ღამის 12 საათზე, აქაურის რკინის გზის მოსამსახურე ნიკოლოოზ ლუკას ძე ჩაჩუა გაძარცვეს. უბედური სამსახურიდგან დაღლილი მიდიოდა ბინაზედ მოსასვენებლად, ამ დროს მოეწია ვიღაც მისი უცნობი კაცი, დაჰკრა თავში, უგ-

## ფელეტონი

—

### ბ. ყარიბი და „მესამე დასი“ *)

(წერილი გარეშე მაყურებლისა)

ჩვენში თითქმის საზოგადო სენად გადაიქცა ერთგვარი მოვლენა: თუ ვისმეს, რომელიმე მწერალს, ანუ არამწერალს, უთხარით,—შენი მსჯელობა ამა თუ იმ საგნის შესახებ არ მესმის კარგად, რადგან ერთობ ბინდბუნდად ხატავ შენს აზრს და, თუ შეიძლებოდეს, უფრო გარკვევით გვიბძანეთ, რისი თქმაც გინდათო; თუმცა რაიმე შენიშვნა მიეცით მისი მსჯელობის შესახებ—კაცო, ეს ასე არ უნდა იყვეს, როგორც შენ ამბობ, რამოდენიმედ შემცდარი ბძანდებიო;—ვაი შენი ბრალი მაშინ! როგორი მეგობარიც უნდა იყვეს შენი ის პირი, რაგინდ მჭიდრო კავშირი იყვეს შენსა და იმას შორის, მაინც არ დაგზოგავს და არა, სასიკვდილოდ აღარ დაგინდობს; რაებს არ შეგწამებს, რაებს არ მოგიგონებს, ასე გასინჯეთ, სამშობლოს ღალატსაც-კი დაგწამებს. ეს თუმცა ასე არის, მაგრამ მე მაინც ვბედავ და ნებას ვაძლევ ჩემს თავს, ბ. ყარიბთან საუბარი გავმართო. ესეც არ ვიცი, ბ. ყარიბი როგორ გულ-კეთილობას გამოიჩენს ჩემ შესახებ და რა თვალით შეხედავს ჩემს მასთან საუბარს. მე ყარიბს პირადად არ ვიცნობ და ის მე, მაშასადამე, აქ პირად ანგარიშებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს, არამედ თვით საქმეს; წამოყენებული საკითხავი უნდა გვაინტერესებდეს ორთავეს.

გაზ. „კვალმა“ (№ 21, 94 წ.) დამსწრეს პირით საზოგადოებას აუწყა, რომ „ნინოშვილის კუბოს გარს შემოკრბენ, ასე ვთქვათ, მესამე დასი ახალგაზდობისა... ისინი უარ-ჰყოფენ ჩვენს ძველს ინტელიგენტ-მეთაურებს და მათი მოქმედება უკვე მავნებლად მიაჩნიათ საზოგადოების წარმატებისათვის, რადგან ისინი (ინტელიგენტ-მეთაურები) განხეთქილან და გაუყვიათ მთელი საზოგადოება პირად ინტერესების გულისათვის... ამ (მესამე) დასმა ნინოშვილის კუბოზე პირველად წარმოსთქვა თავისი მოქმედების პროგრამა... საგნად აირჩია ისეთი მოქმედება, რომ გაუნათლებელ ხალხში მოჰფინოს წერა-კითხვა, შეიტანოს მეცნიერების მიერ გამორკვეული ნათელი აზრები, მკვირცხლათ ადევნოს თვალი მსოფლიო ცხოვრებას ბ არავითარი მოვლენა არ გამოეპაროს მსოფლიო ცხოვრებაში მისთანა, რაცკი სარგებლობას მოუტანს ჩვენს ხალხს და წინ წამოაყენებს მის ბედიღბალს“... ამის შემდეგ თითქმის ნახევარმა წელმა განვლო; საზოგადოებას ილაჯი გაუწყდა მეტის-მეტი ლოდინით, თუ ხსენებული „მესამე დასი“ როდის გვაღირსებს უფრო გამორკვეულ პროგრამას თვისის მოძღვრებისას და რაში გამოიჩენს მოქმედებასო; მაგრამ ეს იყო და ეს ხსენებული „დასის“ პროგრამაც და მოქმედებაც, რაც „კვალმა“ გვაუწყა, არც მეტი და არც ნაკლები. და ბოლოს „ივერიამ“ და „მოამბემ“ ეჭვი აიღეს ხსენებული დასის არსებობაზე და ის აზრი გამოთქვეს, რომ არავითარი მესამე დასი არ არსებობს და არც არავის აზრად მოსვლია მისი შედგენა; მხოლოდ „კვალის“ რედაქციის ფანტაზიის ნაყოფია ხსენებული „დასიო“ და ან თვით ეს რედაქცია სთვლის თავისს თავს მესამე დასათო. „ივერია-მოამბის“ შენიშვნებმა ბ. ყარიბის ვრცელი წერილი გამოიწვიეს გაზ. „კვალში“ №№ (47 და 48, 1894 წ.). ბ. ყარიბს, როგორც „კვალის“ თანამშრომელს და, მაშასადამე, როგორც „მესამე დასის“ წევრს, როგორც ქვემოდ დავინახავთ, რაკი საბუთი მიეცა, სავსებით უნდა წარმოედგინა ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ თავისის დასის სამოქმედო ასპარეზი, საგანი მისის მოძღვრებისა; რა სატკივარი აქვს, ხსენებულის დასის აზრით, ქართველ ერს და რა საშუალებით, რა გზით შესაძლოა დღეს ამ სატკივრის სრულიად განკურნება თუ არა, რამოდენიმედ მისი შესუსტება მაინც. ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ ბ. ყარიბი სასიქადულოდ შეასრულებდა მის მიერ ნაკისრ საქმეს; რაც სათქმელი ჰქონდა „მესამე დასის“ მოძღვრება-მოქმედების შესახებ, ყოველსავეს იტყოდა და ცოტას რასმეს კიდევაც წაუმატებდა. ამიტომ მეტი არ იქნება, ბ. ყარიბის წერილის დედააზრი გავაცნოთ „ივერიის“ მკითხველებს:

„საბედნიეროდ ჩვენის ერისა ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობამ ამ ბოლოს დროს ბევრი ახალი საკითხი

---

*) საჭიროდ მიგვაჩნია გამოვაცხადოთ, რომ ეს წერილი და „ივერიის“ მე-261 №-ში დაბეჭდილი წერილი „ბ-ნი გ. წერეთელი და მესამე დასი“ ერთსა და იმავე დროს მოგვივიდა.

რედ.

რძნობელად წაექცია, ჯიბიდგან ოცდა-ათი მანეთი, საათი და ქუდი წაართო და გაიქცა.

## ნაწყვეტები

ნუ სტირი, გული მომიკლა
შენმა ცრემლისა დენამან,
როგორ აგრივა შორებით
მტრისა ბორატმა ენამან,
უშენოდ, [illegible] გულისავ,
მე ნუ მაცოცხლოს ზენამან,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენმა გულისა ლხენამან!

დ. მაჩხანელი.

## უცნაური აკვიატება აზრისა.

(„Нов. Обоз.", „Тиф. Лист." და „კვალი")

განსვენებულ ალექსანდრე ყაზბეგის გარდაცვალების წლის თავზედ პანაშვიდი და წლის წირვა იქმნა გარდახდილი და ამ დღისათვის ჩვენმა გაზეთმაც ორი წერილი დაჰბეჭდა: ერთი ჩემი მეთაური, რომელშიაც ზოგიერთი საბიოგრაფიო ცნობა იყო აღნიშნული, და მეორე — ცალკე წერილი განსვენებულის პაპის შესახებ: „გაბრიელ დიმიტრის ძე ყაზბეგი". რედაქცია ჰბეჭდავდა რა ორივე წერილს, დარწმუნებული იყო, რომ მკითხველნი იმას ამოიკითხავდნენ შიგ, რაც დაწერილი იყო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მკითხველები, რომელთაც ადრევე წინ წამძღვარებული, აკვიატებული აზრი არა ჰქონდათრა, სწორედ ასე მოიქცნენ კიდეც.

მაგრამ, მკითხველებს გარდა, არიან ისეთი ბატონებიც, რომელთაც ჩვეულებად აქვთ სხვის ნათქვამს, სხვის განზრახვას თავისი შავი ფიქრიც თან ჩააქსოვონ, თან აუკვიატონ ხოლმე და მერე ამ კუდ-გამობმულს, მათ მიერვე გადამახინჯებულს მიეტივნენ ფარ-ხმალითა და აბჯარ-ჩაჩქნით. სასაცილოა ამ უცნაურ მეომართა ხმალ-კაპარჭის ტრიალი და სამხედრო ძახილი. საკმარისია, ცოტა ჩაუფიქრდნენ თავისსავე თავს ეს ახირებულნი ბუმბერაზნი, გაითვალისწინონ ან მტერი და ან მოჩვენებული მიზეზი იმისა, რომ მაშინვე შერცხვნენ და თავ-თავიანთ საბუდარში მიიმალნენ.

ჩვენს მეთაურს წერილში ნათქვამია, რომ „ყაზბეგმა 1879—80 წ. გამოიჩინა თავისი შეუდარებელი ნიჭი ბელლეტრისტისა და საერთო ყურადღებაც დაიმსახურა, უკვდავ ჰყო კიდეც სახელი თვისი თვისთა მემამულეთა შორისო"... ზემოხსენებულს გაზეთებს რუსულს „Нов. Обоз.", „Тиф. Лист."-ს და ქართულს „კვალს" ამოუკითხავთ ეს სიტყვები, გაუჩხრეკ-გამოუჩხრეკიათ და აღმოუჩენიათ, რომ განსვენებულის სახელს ჩირქი წასცხეს, ქურდობას სწამებენო. რადაო? ჰკითხეთ ერთი: საიდგან ამოიკითხეთ? აი საიდგან: მეორე, განსვენებულის ალექსანდრე პაპის შესახებს წერილში ნათქვამია:

«გაბრიელის მიწერ-მოწერა ეხლა ძვირფასი ნივთი იქნებოდა ქართულ მწერლობისათვის, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, არც ერთი ნაგლეჯი აღარა სჩანს. ერთი ჩემი ნაცნობი მიამბობს, რომ თითონ უნახავს გრძელ მრგვალ ჯოხზედ დახვეული წიგნები (ქაღალდები) მეფეებისა, ზოგი თეთრსა და ზოგიც ლურჯს სქელ ქაღალდზედ დაწერილები ქართულად. რასაკვირველია, დიდად საინტერესო იქნებოდა ეხლა ჩვენთვის იმ წიგნების წაკითხვა, რომლებიც სხვა შუქით განგვინათლებდნენ იმ დროის მოქმედებას და მომქმედთ. მაგრამ დღეს სულ დაკარგულია.

„ეს ქაღალდები იმიტომ არის დაკარგული, რომ განსვენებული ალექსანდრე გონებაზედ არ იყო და არავინ იცის, სად წაიღო? გაბრიელს, როგორც ზემოდა ვსთქვი, ორი ვაჟი დარჩა, რომლებიც უკანასკნელ ხანებში გაიყარნენ. ალექსანდრეს მამა მიხეილ უფროსი იყო და მათის ჩვეულებით ქაღალდები იმას უფრო მეტი შერჩებოდა და, მამასადამე, ალექსანდრეს დარჩა მამის სიკვდილის შემდეგ. მეორე ძმას წილობისა მარტო ერთი დიმიტრი, ალექსანდრეს ბიძაშვილი, იყო შინა და მამის ქაღალდები იმასა ჰქონდა; დიმიტრი და ალექსანდრე კარგა ხანი მარტონი, თავ-თავისს სახლებში სტეფანწმინდას (ყაზბეგში) სცხოვრობდნენ და როდესაც დიმიტრი მიიცვალა 1880 წელს, იმის ქაღალდებიც მთლად ალექსანდრეს შერჩა. ალექსანდრეს უკანასკნელი ცხოვრება ჩვენ ყველასა თვალწინ გვიდგას: იმისი სიჩქარითა და ენერგიით წერა და მაშინვე ბეჭდვა წიგნებისა, შემდეგ იმისი ავადმყოფობა და სამკურნალო, მერე სიკვდილი, ერთი მეორეზედ ისე მსწრაფლად მოხდა, რომ გონსაც არავინ მოვიდა, რომ შეეკრიფა ის ხელთნაწერები და ქაღალდები, რომლებიც ალექსანდრესა ჰქონდა. ყოველი მწერალი, როდესაც თავისს თხზულებას გამოსცემს, ხელთნაწერს (არგინალს) შეინახავს, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, უკვდავ „ელგუჯას", „ხევისბერის", „გოჩას", „მოძღვრის" და სხვა ხელნაწერებს ვერა ვხედავთ!.. ყველა ქართველი ვალდებულია, ვინც-კი იცის სადმე არ-კი ერთი ნაგლეჯი ამ ხელნაწერებისა, გამოაცხადოს, წარმოადგინოს და ამითი დიდი შემწეობა მისცეს ქართულ მწერლობას".

აქ აღნიშნულ ცნობების ჭეშმარიტების ეჭვიც არა გვაქვს ჩვენ და არც ზემოხსენებულ გაზეთებს დაურღვევიათ *). არ დაურღვევიათ და ვერც დაარღვევდნენ, მაგრამ შიგ, სტრიქონსა და სტრიქონს შუა თუ, რაღაცა ბრალი ამოუკითხავთ, რომელსაც ვითომ ჩვენ ვდებდეთ ჩვენს მწერალს.

„ნოვ. ობოზ." წერილის ავტორი „K." სწერს:

„უცნობის ავტორის შენიშვნაში იმ საინტერესო დაწვრილებულ ცნობათა გარდა, რომელიც განსვენებულ მწერლის პაპის მიერ საქართველოს ბედ-იღბალში მიღებულს როლს შეეხება, ყურადღების ღირსია ეჭვი (?) ავტორისა, თუმცა-კი დიდად ფრთხილად გამოთქმული, ის ეჭვი, რომ სხვის ნაწარმოებს ხომ არა ჰბეჭდავდა განსვენებული ბელლეტრისტი და თავისს საკუთარს სახელს-კი არქმევდაო...

„ის გარემოება, რომ გარდაიცვალა თუ არა ბიძაშვილი მწერლისა დიმიტრი და ჩავარდა თუ არა იმისი ქაღალდები და წიგნთ-საცავი ალ. ყაზბეგის ხელში, მაშინ დაიწყო მან თავისი ბრწყინვალე სალიტერატურო მოღვაწეობა, მართლაც საოცარი გარემოებაა, რომელიც მცირეოდენს ეჭვს უბადავს ადამიანს, სხვისი ნაწარმოები ხომ არა აქვს მითვისებული მწერალსაო...

„საოცარი მხოლოდ ის არის, რომ უცნობის ავტორის შენიშვნა, რომელიც ჩრდილს აყენებს ქართველთა სახელ-განთქმულს ბელლეტრისტს, დაიბეჭდა სწორედ იმისის სიკვდილის წლის თავზედ, ჩვენის აზრით, მისდა გულ-წრფელ პატივის-მცემელთა განსაოცებლად და სამწუხაროდაო, ათავებს „ნოვ. ობოზ." მწერალი.

ამას ბანი მისცა «Тиф. Лист.»-ის დევ-გმირმა თანამშრომელმა ზოილმა, რომლის «დაუჰირავსა სიტყვასა» ჩვენთვის, და არც არავისთვის, არასოდეს არცა ჰქონია და არც ექმნება რაიმე მნიშვნელობა. ზოილი უკვე პირდაპირ ცილსა გვწამებს, «Нов. Обоз.»-ში ეჭვად გამოთქმულს, ვითომ «ივერიას» ზემოხსენებულ წერილების დაბეჭდვით ჩრდილი მიეყენებინოს განსვენებულის მწერლის სახელისათვის. ერთს რუსულს გაზეთსაცა და მეორესაც, თუ არ დაუკარგავთ უნარი ნაბეჭდის წაკითხვისა და წაკითხულის გაგებისა, აშკარაა, ჩვენგან ნათქვამისათვის თავისი მარილპილპილი მოუყრიათ და ასე შეზავებული მიურთმევიათ თავიანთის მკითხველებისათვის. იმათ ის იმედი მაინც ექმნებოდათ, რომ რუსი მკითხველი ქართულს «ივერიას» ვერ წაიკითხავს და, მაშასადამე, ვერც ამ ჩვენს უცნაურს მზაკვრულობას მიხვდებაო. მაგრამ წარმოიდგინეთ ჩვენი გაოცება, როდესაც რუსულ გაზეთის ამ უდროო და უმართებულო შუშპარს ჩვენი „სამეცნიერო", (?) „მესამე დასის" (?!) გამომეტყველი დარბაისელი «კვალიც» აჰყვა და იმანაც ფერხული ჩამოიარა.

„აქ არ შეგვიძლია, ჩვენის მხრით საყვედური არ გამოვუცხადოთ „ივერიის" მოთავეებსაო, ამბობს „კვალი": იმ კვანძნარევ წერილისათვის, რომლითაც ისე მოუფიქრებლად მოიხსენიეს მათ წლის თავზე თავიანთ გაზეთში ნიჭიერი ჩვენი ბელლეტრისტი. ნეტა რით ხელმძღვანელობდნენ ეს ვაჟბატონები, როდესაც ჩრდილს აყენებდნენ დიდ მწერალსაო?" და სხვანი.

რაკი ყველამ ასე მოიშუშპარა და ჩამოსხდნენ დასასვენებლად, ვკითხოთ ერთი: ცეცხლის ალი, ან საექვო ბოლიც-კი სად დაინახეს, რომ ასე ალჭურვილან ცეცხლის საქრობ მანქანებითა და თავზედ თუნუქის ზუჩები დაუხურავთ? სად არის ის ადგილი „ივერიის" წერილებში, რომელიც ვითომ-და ჩრდილს აყენებს განსვენებულ მწერლის ალ. ყაზბეგის სახელს? თვით „კვალმაც" მაინც რატომ არ მიაკვლია „კვანძ-ნარევ წერილის" კვანძებს, რომელიც ხაკიცხავ და საკიჟინებელ მასალად გაიხადა? ვკითხავთ, მაგრამ დარწმუნებულნი ვართ, რომ ვერც ერთი, ვერც მეორე და ვერც მესამე პასუხს ვერ გვიგებენ.

ჩვენს წერილში ნათქვამია: „გაბრიელის მიწერ-მოწერა ეხლა ძვირფასი იქნებოდა, მაგრამ აღარსადა სჩანსო". უნახავთ კიდეც „გრძელს მრგვალ ჯოხზედ დახვეული წიგნები (ქაღალდები) მეფეებისა, ზოგი თეთრსა და ზოგიც ლურჯს სქელ ქაღალდზედ დაწერილები ქართულად". ეს მიწერ-მოწერა განსვენებულს ალ. ყაზბეგს უნდა დარჩენოდა, მაგრამ „განსვენებული ალექსანდრე გონებაზედ არ იყო და არავინ იცის სად წაიღო." იგი იმდენად უზრუნველად იქცეოდა, რომ თავისს უკვდავ ქმნილებათა „ელგუჯას", „გოჩას" და „მოძღვარის" ხელ-ნაწერებიც ვერ დაიცვაო, და ზემოხსენებულს გაზეთებს-კი აქედგან ის შეუხანხლავთ, ვითომ მეფეების მიწერ-მოწერა, ჯოხზედ დახვეული, „ეგლუჯას", „გოჩას" და „მოძღვარის" დედნები ყოფილიყოს და განსვენებულ ალ. ყაზბეგს მოეპაროს. ამაზედ უცნაური აკვიატება აზრისა გაგონილა? ან საიდგან იქნება გაგონილი, როდესაც დღემდე არც-კი თქმულა და მხოლოდ დღეს აღმოითქვა პატივცემულ „Нов. Обоз."-ისა, **), „Тиф. Лист."-ის კისკას თანამშრომლის ზოილისა და მეცნიერ „კვალის" ბაგით.

ჩვენ გვაკვირვებს ასე თვალ-ახვეულად წაკითხვა ნათლად ნათქვამის სიტყვებისა და უსაბუთო მსჯელობა, ამ თვალ-ახვევით წაკითხულზედ დაფუძნებული. ნეტა ერთს მათგანს მაინც ამოეწერა ჩვენის წერილის „კვანძ-ნარევი" სიტყვები და მკითხველი დარწმუნდებოდა, რომ თუ კვანძი ურევია იქ სადმე, ეს კვანძები ჩატანებულია თვით მკიცხავ და მოკიჟინე გაზეთებისა და არა „ივერიის" მიერ. მაგრამ რას იზამთ, როდესაც ზოგიერთს ბატონებს ყურის აფსკა ისე აქვთ მოწყობილი, რომ „ღვთის წყალობასაც"-კი „ღვთის რისხვად" გაიგონებენ და მოჰყვებიან უთავ-ბოლო კიცხვა-კილვას. ამისთანა ბატონებთან იმის მეტს რას გააწყობთ, რომ უთხრათ: „მთქმელს გამგონე უნდაო", და განშორდეთ, მაგრამ რას იზამთ, როდესაც გურამიშვილსავით სრული საბუთი გაქვთ წამოიძახოთ:

ამას ვწუნობ: ავნი ავსა
თვით იქმენ და სხვას-კი სძრახვენ.

ფარნაოზი

*) საჭიროდ ვრაცხთ განვაცხადოთ, რომ ეს წერილი ეკუთვნის ყაზბეგის ერთს ჭირისუფალთაგანს, რომელიც არავისზედ ნაკლებ არა სცემს პატივს ალ. ყაზბეგის სახელს. ავტ.

**) დარწმუნებულნი ვართ, რომ თვით „Нов. Обоз."-ს რედაქციას გულ-ღვარძლიანობით არ მოსვლია ასეთის წერილის დაბეჭდვა. ავტ.

---

წამოაყენა წინ; ასე წარმოიდგინეთ, მესამე დასმაც-კი იჩინა თავიო" — ბრძანებს ბ. ყარიბი. შემდეგ, სიტყვა-სიტყვად გადმოგვცემს-რა ბ. „დამსწრეს" წერილს ხსენებული „დასის" შესახებ, „კვალში" (№ 21, 94 წ.) დასტამბულს, რომლიდამაც ჩვენ ზემოდ ამოვწერეთ რამოდენიმე სტრიქონები, განაგრძობს: „ჩვენი საგანი უნდა იყოს დღეს ერი და არა რომელიმე წოდება, ჩვენი საპატრონო უნდა იყოს საქართველოს ტომის უმრავლესობა, რომელიც არის ჩავარდნილი სისაწყლეში და სიღატაკეში და არა უმცირესობა... «მესამე დასი» გასაწყლებულ უმრავლესობას ემხრობა და ამათში ჰპოვებს საქართველოს ბედნიერების ნიშან-წყალს. მას ყოველი შეძენილი უპირატესობა ერის უმცირესი ნაწილისა ქვეყნის მავნებლად და გასაწყლებულ უმრავლესობის დამჩაგვრელად მიაჩნია. აი, აქ განსხვავდება არსებითად მიმართულება „კვალისა" იმ მიმართულებისაგან, რომელსაც ადგია შეერთებული ძალა „ივერია-მოამბისა" რომ უფრო ნათლად დაანახოს საზოგადოებას ერთის მხრივ „კვალის" და მეორე მხრივ „ივერია-მოამბის" მიმართულებათა განსხვავება. ბ. ყარიბს მაგალითად მოჰყავს წლევანდელი საზოგადო კრება ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა და ამბობს: „ივერიის" გაზეთმა აიღო ბაირაღი და დაუწყოდევნა წვრილ-ფეხა, შეუძლებელ აზნაურობას... ხოლო გამდიდრებული ნაწილი ღენერალ-თავად-აზნაურებისა განშორდა და ცალკე დადგა „ივერიის" მეთაურობით. მეორე მაგალითად ბ. ყარიბს მოჰყავს ბ. ნიკოლაძის წერილი, ჟურ. „მოამბეში" დასტამბული, სადაც ის ამბობს, რომ რუსეთში მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქცია აზნაურობის დაქვეითებას და არა სანატრელ მდგომარეობასო და აზნაურობას იქ „ვალები შეუმსუბუქეს, იაფი კრედიტი დაუარსეს, პოლიტიკური გავლენა მოუმატესო" და სხ. ბ. ნიკოლაძე ურჩევს ჩვენ-თავად-აზნაურობასაც, რომ თქვენც სთხოვეთ მთავრობას, რომ იმ შეღავათიდამ, რომელიც იმან რუსეთის აზნაურობას მიანიჭა, იქნება რაიმე თქვენც გარგუნოსო; ამით, რამდენიმედ მაინც არის, თქვენი მდგომარეობა გაუმჯობესდება და თქვენის თავის და თქვენის ცოლ-შვილის რჩენა თქვენვე შეგეძლებათ და ქვეყნისათვის მეტი ბარგი არ იქნებითო. მტკიცედ დარწმუნებული იმაში, რომ დიდი პრინციპიალური განსხვავება აღმოაჩინა პირველს ორსა და „მესამე დასს" შორის, ანუ, უკედ ვსთქვათ, „კვალსა" და ივერია-მოამბეს" შორის, ბ. ყარიბი გულ-ნატკენად უსაყვედურებს ჩვენს საზოგადოებას და, მეტადრე „ივერიას" და „მოამბეს", რომ ასე გულ-ცივად დაუხვდნენ „მესამე დასის" დაბადებას. «სრული დარწმუნებული ვართო — ბძანებს ბ. ყარიბი — რომ ყოველი ჰკუათა მყოფელი ადამიანი, რაც უნდა „ურწმუნო თომა" ყოფილიყო, იმედითა და სიამოვნებით დაუწყებდა თვალ-ყურის დევნებას ამ ახალ დაბადებულ დასს, და თუ ძმურად ხელს არ მიცემდა, მტრულად მაინც არ დაუწყებდა მოშხამულ ისრების სროლას. ასე ვფიქრობდით, მაგრამ ძრიელ მოვტყუვდითო!.." და ბოლოს, რომ უფრო დაარწმუნოს საზოგადოება, რომ „მესამე დასი" სჯობია პირველს ორ დასს (?) ბ. ყარიბს ჩვენის ხალხის შემდეგი საგულისხმიერო სიტყვები მოჰყავს: „ის ურჩევნია მამულსა, შვილი რომ სჯობდეს მამასაო".

როგორც ჰხედავთ, ზემოდ აღმოწერილი ყარიბის სიტყვებიდამ გამოდის შემდეგი: 1) „მესამე დასის" წარმომადგენელი ყოფილა „კვალის" რედაქცია, რასაკვირველია, თავისის რედაქტორით და თანამშრომლებით; 2) ამ „დასს" უარი უყვია დანაშთენის ორის დასის (?) მოძღვრება-მოქმედებისათვის, რადგან ისინი მხოლოდ პირად და თავად-აზნაურობათა ინტერესებს იცვენ და 3) „მესამე დასი"-კი, ქვეყნის მავნებლად რაცხს რა ერის უმცირესის ნაწილისაგან ყოველსავე შეძენილს უპირატესობას, კისრულობს განათლება მოჰფინოს მთელს ჩვენს ერს და „საქართველოს ტომის" გასაწყლებულ და გაღარიბებულ უმრავლესობას პატრონობა გაუწიოს.

ჩვენ კარგად ვერ გამოგვირკვევია, რომელ დასებს ეძახის ბ. ყარიბი პირველს, ანუ მეორეს? როგორც მისის სიტყვებიდამ სჩანს, ერთ-ერთ დასად მას უთუოდ „შეერთებული ძალა „ივერია"-„მოამბისა" ჰყავს სახეში, ხოლო რაც შეეხება მეორე დასს, ეს საიდუმლოებით მოცულია. ყოველ შემთხვევაში, ასე თუ ისე, ეჭვს გარეშეა, რომ ამ მეორე დასად ბ. ყარიბს, და მასთან „კვალის" რედაქციასაც, საზოგადო მოღვაწეთა რომელიმე წრე უნდა ჰყავდეს სახეში; ამიტომ საგანს გადაშორებული არ ვიქნებით, თუ ბ. ყარიბს ვთხოვთ, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კორესპონდენცია

—

**სოფ. ბორჩხა** (ჭოროხის ხეობა), 24 ნოემბერი. ჩვენში საჭირ-ბოროტო საგანი გზა არის, რომლის გამოისობითაც ხალხი დიდს გაჭირვებაშია. თუ წინად, ვიდრე ამ გზას შეკეთებას დაუწყებდნენ, იგი მზგავრობისათვის უხერხული იყო, ეხლა, როდესაც ვითომდა სცდილობენ მის გაფართოებასა და შესწორებას, უფრო უარეს ყოფაში ჩავარდა, ოღრო-ჩოღრო გახდა და ალაგ-ალაგ ტალახი იმ ზომამდეა, რომ ცხენი ყურებამდის ეფლება. მაშინ, როდესაც ამ გზის მოიჯარადრე (ურიაა) ათას თუმნობით იღებს გზის შესაკეთებელ ფასს, ხალხი იძულებულია ასეთის გაჭირვებით იმოგზაუროს. წარმოიდგინეთ, იქამდის უხერხულია ეს გზა, რომ ყოველთვის ფოსტის გავლას ერთი ვაი-უშველებელი მოსდევს ხოლმე, რადგანაც ცხენებს, თუმცა მცირე ტვირთიც მიაქვთ, მაინც ვერ დაუხწევიათ თავი გზაში აზელილ ტალახისაგან. მე მგონია, დრო არის მთავრობამ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს და იჯარადარს თავისი მოვალეობა შეასრულებინოს. ჩვენ უტყუარის წყაროდგან ვიცით, რომ გზის შეკეთებისათვის იჯარის მესამედიც არ იხარჯება და საქმეს ისე უბრალოდ აფუჩეჩებენ იაფად დაჭერილის მუშებით, რომელნიც, ფასის სიმცირის გამო, უგულოდ ეკიდებიან თავისს მოვალეობას. ადგილობრივი მცხოვრებთაგანი არავინ მიდის სამუშაოდ, რადგანაც 20—30 კაპეიკად დღეში თავისს ძალ-ღონის შელევას ძნელად თუ იკისრებს კაცი; ამის გამო გზაზედ განსაკუთრებით ოსმალოდგან მოსული თათრები და სომხები ჰმუშაობენ და იმათთვის რა აინუნში მოსატანია ხალხის შევიწროება უგზოობის გამო? იჯარადარიც ყურადღებას არ აქცევს, რადგანაც იმის ინტერესს მხოლოდ ფული შეადგენს!.. არ ვიცი როდემდის გაგრძელდება ასეთი ყოფა? ზამთარი დგება და, მგონია, გზას თუ ეხლავე არა ვუშველეთ-რა, ფოსტის მოძრაობა მალე შესწყდება.

ი. ჯ.

—

**რუისი.** მომავალ გაზაფხულიდგან აქაურის ერთ-კლასიანს სკოლას პროფესიონალური განყოფილება მოემატება. მთავრობა ჰპირდება, თესლეულობა და მებაღე მუქთად გამოუგზავნოს, და თავადვე იკისროს ყოველივე ხარჯი, რომელიც-კი სამაგალითო ბაღს მოუნდება. ეს სწორედ კარგი წყალობა იქნება ჩვენი სკოლისათვის.

ნოემბრის უკანასკნელს რიცხვებში გორის მაზრის უფროსმა რ. ერისთავმა, მაზრის მომრიგებელმა შუამავლებმა: გ. ციციშვილმა და ი. ერისთავმა მთავარ მართებლის კანცელარიის მოხელე იაკიმოვთან ერთად შემოიარეს გორის მაზრის სამამასახლისოები; დაათვალიერეს კანცელარიები, დავთრები და გამოჰკითხეს ხალხს თავისი გაჭირვება. ეს სტუმრები ჩვენშიაც იყვნენ და დაათვალიერეს ჩვენი სოფლის კანცელარია. როდესაც დავთრების უვარგისობა აღმოაჩინეს, ჩვენებურმა ნასწავლმა მწერალმა მოახსენა: „ბატონებო, ნება მიბოძეთ რუსულად ვაწარმოვოთ ყოველივე საქმე, რადგან ბევრჯელ თარგმნა სჭირდება, როცა აქედგან საჩივარი გადააქვთ გლეხებსაო; ორივე ერთი უნდა იყოს, მაინც არ იციან ბევრმა ქართული კითხვაო!“ ამ ახალ «მოსე მწერალს» დაავიწყდა ალბად, ვის ეუბნებოდა ამას. იმათ მარტო გაიცინეს და უთხრეს, ჩვენ იმიტომ-კი არ ვიწუნებთ, რომ სულ რუსულად არ არის ნაწერი, არამედ იმიტომ, რომ ქართულად სწორედ არ არისო. ასე გათავდა ჩვენი კანცელარიის გასინჯვა. როცა აქაურს გლეხებს გამოჰკითხეს, მამასახლისს, მოსამართლეებს, მწერალს რას აძლევთ ჯამაგირს, ან რა გაჭირვება გაქთო, რუისელებმა განაცხადეს: ჩვენი გაჭირვება უტყეობააო, თორემ სხვაფრივ არა გვიშავს-რაო.

ჩვენში ამ დეკემბერს თავი იჩინა საქონლის ჭირმა. ეს სენი სოფ. არადეთსა და არაშენდიდგან გადმოედო ჩვენს საქონელს, სადაც აგერ სამი კვირაა მძვინვარებს თურმე ამ სოფლებში. დიდი გაფრთხილებაა საჭირო, მაგრამ ვინ არის გამაფრთხილებელი. მართალია სასანიტარო კომისია გვყავს, მაგრამ არაფრის კეთება არ ყოლასთან არ არის?!. ჩვენში სულ სხვანაირადა აქვს წარმოდგენილი ამ კომისიას თავისი მოვალეობა. სანიტარებს დაბრიყვებული ჰყავთ სოფლელები და რაც უნდათ, იმას სჩადიან. გზას რომ უშლიდეს ნერგი და მოსჭრას, დიდი დასაკლისი არაფერია, მაგრამ რამე შურისძიების გულისთვის, სანიტარი, თუ თავისს მტრის ვენახს მოხვდა, მამაპაპეულ გაშენებულს თხრილს გადმოუნგრევს, ფშატს აუკაფავს, ნერგს დაუჩეხავს და თუ უთხრა რამე საბრალო პატრონმა, წადი, მიჩივლე სამართალშიო, ეუბნება ის. ამ რიგად ჩვენი სოფლის მშვენიერი ფოლორჩები, ხეივნებივით შესავალი გზები-კი ვერანდება და ტიალდება. ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთმა გლეხმა იჩივლა, რომლისაც სანიტარების მოთავეს ვალი ემართა. აქაო და შენი ჯავრი მჭირსო, მისდგა მოვალის ნერგებს და ორმოცამდე მოუჭრა, იმანაც იჩივლა და სასამართლოს დამნაშავისთვის ერთი თვე ციხე და წანახედის ფასი მიუსჯია. იქნება ამ გარემოებამ მაინც არის ჭკუა ასწავლოს მის კანდიდატებს.

ისევ ის

## რუსეთის ცხოვრება

—

ხმა დადის, რომ ტომსკისა და სემიპალატინის ეპისკოპოსს განზრახვა აქვს ადგილობრივ სემინარიაში სწავლა-დამთავრებულ მოსწავლეთ აღარ მისცეს ნება უნივერსიტეტში შესვლისა: ეს გარემოება იმან გამოიწვია თურმე, რომ ტომსკის ეპარქიას მღვდლები ნაკლებადა ჰყავს. განზრახვა აქვთ, უნივერსიტეტში შესვლისათანავე ტომსკელ სემინარიელს გადაახდევინონ ის ფული, რომელიც სემინარიის მთავრობას დაუხარჯნია, ან არა-და გიმნაზიის დამთავრების მოწმობა მოსთხოვონ.

—

ის კომისია, რომელსაც მინდობილი ჰქონდა იმ პროექტის შედგენა, თუ როგორ მოახერხოს მთავრობამ თითონ ჰყიდოს ხოლმე სასმელები, მომავალს კვირაში დაასრულებს თავისს მოქმედებას.

—

14 დეკემბერს ვარშავში, ნაშუადღევის პირველს საათზედ ყველა უწარჩინებულესნი სამხედრო და სამოქალაქო წოდების მოხელენი სამეფო სასახლეში შეიყარნენ გენერალ-ფელდმარშალ გურკოსთან გამოსათხოვებლად. სამეფო სასახლიდგან დაწყებული ვენის რკინის გზის სადგურამდე აქეთ და იქით მხარეზედ ვარშავის ჯარი იდგა, მუსიკა რამდენსამე ადგილას უკრავდა. ნაშუადღევის 3 საათზედ ყველანი ვენის სადგურში გადვიდნენ. ჯარმა სამხედრო სალამი მისცა, დაჰკრეს განგაში და ამ რიგად სადგურისაკენ მიმავალი ფელდმარშალი, რომელსაც უკან მისდევდა ცხენოსანთა და ყუბანის ყაზახთა რაზმი, ემშვიდობებოდა ჯარსა. სადგურთან ცხენოსანი ჯარი იდგა. აქვე დახვდა ფერდმარშალს გენერლობა. 3 საათზედ ფერდ-მარშალი თავისის ოჯახობით საზღვარ-გარეთ წავიდა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

«Моск. Вѣд.»-ში დახასიათებულია ოსმალეთის სომხეთის მდგომარეობა და სხვათა შორის, რუსეთის ნაწილის სომხებზედაც არის ლაპარაკი. გაზეთს საიდგანღაც გამოუგონია, ვითომ ინგლისის მორევოლიუციე სომხებს ჩვენის სომხებისთვის მოწერილობა გამოუგზავნიათ და ურჩევენ:

მშვიდობიანის საშუალებანით სამფლობელო დაიპყრან. რუსის სომხებმა ამ ბრძანების ძალით ხელში უნდა ჩაიგდონ მმართველობა, სიმდიდრე და ყოველგვარი წარმოება ამა თუ იმ ქვეყნისა—და ვინც-კი დაახლოვებით იცის კავკასიის აწმყო მდგომარეობა, იგი მიხვდება, რომ მერევოლიუციო კომიტეტის ბრძანება დიდის გულმოდგინებით სრულდება. იმ ქვეყნის მთელი წარმოება სომხების ხელშია. სომხები ისე განმდიდრდენ, რომ არამც თუ მარტო ქართველები, იმერლები (ეს ქართველების და იმერლების, ე. ი. მეგრელების, იმერლების, გურულების განცალკევება რაღა არის?) და თათრები დასჩაგრეს, არამედ თვით რუსებიც-კი: ჯერც კავკასიის დამპყრობელნი (ე. ი. რუსებიო) გრძნობენ კარგად თავიანთ თავსა. თუ მმართველობა ჯერ კიდევ ვერ ჩაიგდეს ხელში, ეს სომხების ბრალი არ არის, ისინი ძალიანა სცდილობდნენ ამ საქმეს.

ამის შესახებ გაზ. «ნოვ. ვრ.» ამბობს: სომხები დიდი ხანია მდიდრდებიან და დიდი ხანია, რაც კავკასიაში რაც-კი რამ ძვირფასია, იმათ ხელში გადადის, მაგრამ სომხების პატრიოტობა აქ არასფერს შუაშია. გამდიდრების მიზეზი სომხების ხასიათის სიწვრილმანეაო.

**

13 დეკემბრის „ნოვ. ვრ.“-ას №-ში ვილაც ბელომირს ნათლად გამოუცხადებია, თუ რა საფუძველზედ მისცემს ხელს რუსეთს დაუკავშირდეს ინგლისს. ეს თამამი სტრატეგი სუვორინის გაზეთისა თხოულობს, რომ ინგლისმა დაუთმოს რუსეთს გალლიპოლი, რაიცა იგივე დარდანელის სრუტეა, და მცირე აზიის მხარეს კიდევ რომელიმე კუნძული, რომ იქ რუსეთის სამხედრო ფლოტს ბინის გაკეთება შეეძლოსო.

ამ სახით „ბელომირს“ სურს, რომ არა თუ შავის ზღვის, არამედ სტამბოლის გასაღებებიც რუსეთს ჩაჰბარდეს, რომლის ნაცვლად ჰპირდება ინგლისს რუსეთის მხრით ინდოეთის ხელ-შეუხებლობას.

ახალი დიპლომატი სრულიად გულგახსნილად აღიარებს, რომ მხოლოდ ამ აზრზედ უნდა იქმნას გამართული მოლაპარაკება ინგლისთან, და თუ იგი არ დასთანხმდა, მაშინ რუსეთმა თავისის საკუთარის ღონით უნდა მიაღწიოს ხსენებულს საგანსო, ე. ი. დაიჭიროს სტამბოლში და ხმელთა შუა ზღვაში შესავალი კარები. ბ-ნ ბელომირს ერთი ანდაზა დავიწყებია, რომ კვერნის მოკვლამდე იმის ტყავში ფასს არავინ გაიხდისო. ჯერ თითონ ოსმალეთი უნდა გაჰქრეს, როგორც სახელმწიფო და მხოლოდ შემდეგ არის შესაძლო იმის დარჩენილ ყოფა-ცხოვრების შესახებ ლაპარაკი.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** გოტიემ უარი სთქვა პარლამენტში, დრეიფუსის საქმისას აღარას ვიკითხავო, მხოლოდ დაბეჯითებით თხოულობდა, რომ მინისტრ მერსიეს პროექტი ნუ გადაიდებაო. ამ წინადადებას მერსიეც მიემხრო. სოციალისტი მილერანი სცდილობდა დაემტკიცებინა, რომ დრეიფუსის სიკვდილით დასჯა შესაძლებელი არისო. პროექტის გადაუდებლობა შეწყნარებულ იქმნა 542 ხმის უმეტესობით 3-ის წინააღმდეგ. ჟორესი, მიუხედავად პრეზიდენტის პასუხის და შუაგულ დასის პროტესტისა, ამტკი-

---

დაგვისახელოს, „ივერია“-„მოამბის“ გარდა, რომელი დასი ჰყავს მის სახეში. ეს ჩვენი თხოვნა ბ. ყარიბისადმი უბრალო ცნობის-მოყვარეობით როდია გამოწვეული, არამედ თვით წამოყენებულ საგნის ახსნაში ხელს შეგვიწყობს ბ. ყარიბის სწორი პასუხი ჩვენს თხოვნაზე და, მაშასადამე, ეს მისი სურვილიც უნდა იყოს. ეხლა დროა, თვით „მესამე დასის“ პროგრამის განხილვას შევუდგეთ.

რა არის ახალის ხსენებულის დასის მოძღვრებაში და რისთვის უყვია მას უარი ძველ დასებისათვის? ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს, ბ. ყარიბის მოთხრობით, რომ ძველი მოღვაწეები კერძო ინტერესებს იცავენ, „მესამე დასი“-კი მთელის ერის განათლებას და გაღატაკებულ უმრავლესობის პატრონობას ჰკისრულობს. ბ. ყარიბი ან ერთობ ნაკლებად იცნობს ჩვენს ძველსა და ახალს ლიტერატურას, ანუ განგებ უარს ჰყოფს ჩვენის მწერლების მოღვაწეობას ქართველ ხალხში სწავლა-განათლების გავრცელების შესახებ. რაც უნდა ნაკლი ჰქონდეს ჩვენს ლიტერატურას, ეს-კი ცილის წამება იქნება ვინმემ სთქვას, რომ ჩვენი საზოგადო მოღვაწეები არ ცდილან და არც სცდილობენ ხალხში ცოდნის მოფენას. ეს-კი არა, თავსა და თავს საგანს ჩვენის მოღვაწეების მოძღვრებისას მუდამ შეადგენდა და დღესაც შეადგენს ხალხში განათლების გავრცელება. ჟურ. „ცისკრიდამ“ მოყოლებული დღემდისინ ყველა ჩვენი მოღვაწეები წერით, სიტყვით და სხვა გვარის მოქმედებით მუდამ იმას ცდილობდნენ, რომ საქართველოს ყველა კუთხეში რიგიანი სკოლები დაარსებულიყო, სკოლებში სწავლება რიგიანს გზაზე ყოფილიყო დაყენებული, საშუალო და მაღალი სასწავლებლები, რაც შეიძლება, ბევრს დაემთავრებიათ, ხალხში წიგნები გავრცელებულიყო და სხ. და სხ. ყველა ამის დასამტკიცებელი საბუთები ბ. ყარიბმა, თუმცა მართლა ის არ იცნობს ჩვენს ლიტერატურას და სწავლა-განათლების ისტორიას ჩვენში, ეძიოს ყველა ჩვენს ძველსა და ახალს ჟურნალ-გაზეთებში, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“, „ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობათა საზოგადოებაში“, წიგნების გამომცემელ ამხანაგობაში, თავად-აზნაურობის წინამძღოლების თხოვნებში მთავრობის უმაღლეს პირებთან, კერძო წრეების დადგენილებებში და სხ. და სხ. ბ. ყარიბი იქმნება იმას უსაყვედურებს „ძველს ჩვენ ინტელიგენტ-მეთაურებს“, რომ ყველა ისინი მასწავლებლებად არ წავიდნენ, თავიანთის ხელით წიგნები არ დაატარეს ხალხში. მაგრამ ამგვარი საყვედური ხომ ყოვლად უსაფუძლო იქმნება! კაცი ყოვლად შემძლებელი უნდა იყვეს, რომ ყოველივე ის კეთილი აზრები, რაც მას თავში დაებადება და, შეძლებისდა კვალობაზე, სახალხოდ წარმოთქვამს, თითონვე განახორციელოს. აქ შრომის განაწილებაა საჭირო, როგორც სხვა ყოველ გვარ შემთხვევაში, და მართლაც ჩვენშიაც ამასვე ვხედავთ: ჩვენს მოღვაწეებს უწერიათ, ულაპარაკნიათ ხალხისთვის სწავლა-განათლების მიუცილებელ საჭიროებაზე, ხოლო სხვები ამ მოძღვრებაზე აღზდილან, ეს მოძღვრება ძვალსა და რბილში გასჯდომიათ და სწორედ ამით აიხსნება ის სასიამოვნო მოვლენა, რომ დღეს საქართველოს მივარდნილ და მიყრუებულ კუთხეებშიაც-კი მოიპოებიან, თითო-ოროლა მაინც არის, ისეთი პირები, რომლებიც ხალხის სიბნელეს დასტირიან და მის განათლებაზე ზრუნვენ და წუწუნებენ. ანუ შეიძლება, ბ. ყარიბი იმას აბრალებს «ძველს ჩვენ ინტელიგენტ-მეთაურებს“ რომ სწავლა-განათლების საქმე ჩვენში სასურველ ნიადაგზე ვერ არის დამყარებული. მაგრამ ეს აზრი ხომ სანამ ბ. ყარიბი დაიბადებოდა, მანამდისაც ათასჯერ თქმულა და გამოთქმულა, დაწერილა და ნაწერიც წაშლილა! ბ. ყარიბს რატომ არ გაუგია აქამდისინ, რომ იმ თითო-ოროლა პირების ბრალი როდია, რომლებიც ჩვენი საზოგადოების სათავეში იდგნენ და დგანან დღეს, ის, რომ ჩვენში სწავლა-განათლების საქმე უკუღმართ გზაზეა დამყარებული, არამედ იმ საზოგადო გარემოების, რომელიც სხვა ყოველ-გვარ საქმეებშიაც წინ გვეღობება და ხელს გვიშლის. თუ ბ. ყარიბი და მასთან მთელი „მესამე დასი“ ამ გარემოების საწინააღმდეგოს რაიმე რიგიანს წამალს გამონახვენ, დარწმუნებული ბრძანდებოდნენ — მე ჩემდა-თავად, და, ვფიქრობ, სხვებიც მათი განუშორებელი თანამოგზაურნი ვიქნებით.

(დასასრული იქნება)

ცემდა, რომ კანონი ნებას გვაძლევს კაპიტანის დრეიფუსის სიკვდილით დასჯისასაო, და ამასთანავე თხოულობდა, რომ ჩემს წინადადებას ნუ გადასდებთო. დიუპუიმ განაცხადა, რომ ეს საგანი წინადვე უნდა იყოს გარკვევით აღნიშნული და ამასთან ინტერ-ნაციონალისტებს ბრალი დასდო, რომ თქვენ სამხედრო იერარქიულს წესს-რიგს არღვევთო. ჟორესმა შეჰნიშნა: დიდი თავხედობაა მთავრობის მხრით ინტერ-ნაციონალიზმის შესახებ ლაპარაკიო, მაშინ, როდესაც იგი შაბათს სცდილობდა დაეცვა პარლამენტის მანიფესტაციისაგან მთელი დასი კოსმოპოლიტ-ექსპლოატატორებისაო (საშინელი ხმაურობაა). მინისტრმა ბარტუმ უპასუხა: „სტყუითო!“ აქ მინისტრმა და ჟორესმა ერთმანეთს უკმეხის სიტყვებით მიჰმართეს; კრებამა სთხოვა, რომ წესიერებას ნუ დაარღვევთო. ჟორესი: „სიცრუე ჩვენ მხარეს-კი არა, მთავრობის მხარეს არის, რომელიც საპატრიოტო ჰანგზედ გაიძახის. ბრისონმა მოითხოვა, რომ ჟორესი დროებით იყოს დათხოვნილი და პალატის უმრავლესობამ ეს წინადადება ერთხმად შეიწყნარა. ჟორესი დარბაზიდგან გავიდა მაშინ, როდესაც უმწვერვალესი მემარცხენეთა დასი საშინლად ახმაურდა. ბრისონმა კრება შესწყვიტა. ხუთის წუთის შემდეგ სხდომა კვლავ დაიწყო და 437 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 85-ისა შეწყნარებულ იქმნა დიუპუის წინადადება.

—

13 დეკემბერს ბარტუსა და ჟორესს შორის დუელი მოხდა, თითოჯერ ესროლეს ერთმანეს, მაგრამ არავინ დაჰრილა.

—

პრეზიდენტმა პერიემ 13 დეკემბერს ჰნახა რუსეთის საგანგებო ელჩი გენერალი ჩერტკოვი, რომელმაც იმპერატორის ნიკოლოოზ მეორის ტახტზედ ასვლა აუწყა. ელისეის სასახლეში გენერალი სასახლის ეტლით მივიდა. ეზოში ქვეითი ჯარი დახვდა დროშითა და მუსიკით. რესპუბლიკის პრეზიდენტთან იყვნენ საბჭოს პრეზიდენტი დიუპუი და სამხედრო და სამოქალაქო კაბინეტის ყველა წევრები. გარდასცა რა ხელმწიფე იმპერატორის ხელით დაწერილი წერილი, გენერალმა ჩერტკოვმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც მოიხსენია, რომ ხელმწიფე იმპერატორმა მიბრძანა გადმოგცეთ თქვენ, რამდენად ნასიამოვნებია იმ თანაგრძნობით, რომელიც გამოიჩინა საფრანგეთის ერმა მის მწუხარების მიმართ და საფრანგეთიდგან მოსულებმა ხომ გაანელეს მისი უმწვერვალესი მწუხარებაო“. დასასრულ ჩერტკოვმა მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის მხრივ უღრმესი მადლობა გადასცა თვით კაზიმირ პერიეს მის მიერ კერძოდ განცხადებულ იმ უბედურების თანაგრძნობისათვის, რომელიც ხელმწიფესა და მთელს რუსეთს ეწია. პერიემ უპასუხა: «თუ რომ მთავრობა და მთელი საფრანგეთის ერი შეუერთდნენ იმპერატორის გვარეულობის და რუსეთის მწუხარებასა, ფრანგები არა ნაკლებ და გულწრფელად აღმართავენ მხურვალე ლოცვათა თვისთა ხელმწიფე იმპერატორის დღეგრძელობისათვისაო. შემდეგ პერიე, დიუპუი და ჩერტკოვი მეორე დარბაზში გავიდნენ, სადაც 20 წუთს ილაპარაკეს. ელჩი ისევ იმ ამბით გამოაცილეს, როგორც მივიდა.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

ხალხის ჯანმრთელობის დამცველ რუსეთის საზოგადოების ერთ განყოფილების საერთო კრებაზედ ექიმმა ა. ა. ლიპსკიმ საყურადღებო ცნობები აღნიშნა, თუ რა გავლენა აქვს ქორწინებას ჭლექის გაძლიერებაზედ.

1881—1893 წლების განმავლობაში დაჰკვირვებია ექიმი ამ სენს და იმ დასკვნას დასდგომია, რომ გათხოვილი ქალი უფრო ნაკლები იხოცება ჭლექით, ვიდრე ცოლიანი კაცებიო. ორთა შუა რიცხვით, 10,000 კაცს შორის ჭლექით იხოცება—უცოლშვილო 50, ცოლშვილიანი 41, და ქვრივი—80 კაცი. ამავე დროს განმავლობაში ქალი-კი დახოცილა: გასათხოვარი—32, გათხოვილი—59 და ქვრივი—39. რაც შეეხება ქვრივ ქალებსა და კაცებს, სიყმაწვილეში უფრო იხოცებიან, ვიდრე ხანში შესვლის დროსაო. სხვა ავადმყოფობასთან შედარებით, როგორც მთელის 1893 წლის დაკვირვებამ აღმოაჩინა, ას გარდაცვალებულ შორის, რომლებიც 20—30 წლისანი დახოცილან, 80 ჭლექიანი ყოფილა, ას მოხუცებულთა შორის-კი, 3—10 სულამდის. ამასთანავე კაცებს უფრო ძლიერი ჭლექი ჰქონიათ, ვიდრე ქალებს.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ ქ-ნ ნატალია მაჭარაძისას, რომელმაც ჩემის თხოვნით ქ. ფოთში შეაგროვა მომავლის ხიდისთავის წიგნთ-საცავის სასარგებლოდ ორმოც-და-თვრამეტი მანეთი ფულად და ოც-და-თოთხმეტი სხვა და-სხვა რუსულ-ქართული წიგნი.

გოგოლი მდივანის ასული—ბერეჟიანისა

დ. ხიდისთავი

## შემოწირულება

—

ხონის საქალებო სასწავლებელის დამაარსებელს ივანე შარაშიძეს ამ სასწავლებლის შენობისათვის მიუღია შეწირულება სხვა-და-სხვათაგან. შემომწირველნი არიან:

ყარამან დავითის ძე ქებზინაძე 3 მ., სამსონ ალექსის ძე კეთილაძე 2 მ., ივანე მახარბელის ძე სიმონიძე 3 მ., მიხაილ გრიგოლის ძე წერავა 3 მ., სერგეი პეტრეს ძე ფანცულაია 5 მ., ამბაკო პეტრეს ძე ჩაკვეტაძე 5 მ., პორფილე ივანეს ძე მაჭარაძე 5., ალექსი თომას ძე გიორბერიძე 5 მ., გიგო ბერის ძე დანელია 1 მ., იაკობ გიორგის ძე ტაბიძე 2 მ., ილარიონ ვასილ გიორგის ძეები 1 მ., სტეფანე პეტრეს ძე ჭავჭანიძე 5 მ., სამსონ კაცას ძე მელაძე 3 მ., ვლადიმერ და გიორგი ნიკოს ძენი ავალიანი 3 მ., დავით და ასლან იესეს ძე გორდაძე 10 მ., ივანე ასათიანი 2 მ., როსტომ ვასილის ძე მეზუკე 3 მ., დავით მახარბელის ძე ბახტაძე 3 მ., ბერძენმა აბრამ პოლიტოვმა 3 მ., პავლე ივანეს ძე ჭავჭანიძე 5 მ., ილარიონ ვასილის ძე სანოძე 3 მ., მიხაილ დავითის ძე სალარაძე 2 მ., იოსებ დიმიტრის ძე კუპრაძე 2 მ., ვასილ სიმონის ძე ჭავჭანიძე 3 მ., ნიკოლოზ ფანცულაიამ 5 მ., 20 ივლის ხონის ბულვარში სეირნობისაგან ხარჯის გამორიცხვით დარჩენილა წმინდა შემოსავალი ამ საჭიროებისათვის 42 მ. 24 კ. მაკრინე ქუთათელაძემ 10 მ., ივანე იორდანეს ძე ჯალაღანიამ 3 მ., ილარიონ მათეს ძე ბახტაძე 1 მ., ივანე გიორგის ძე შვანგირაძემ 1 მ., სიკო ბუჭუას ძე ქაცარავა 10 მ., ბიჭიკო ბერის ძე სანოძე 1 მ., მღვდელმა პავლე ბახტაძემ 5 მ. 50 კ., ირაკლი ბიჭიას ძე სანოძე 1 მ., ლუკა ივანეს ძე ჭავჭანიძე 3 მ., ლუკა დავითის ძე მაღლაკელიძე 2 მ., იაკობ მაქსიმეს ძე ვაშაკიძე 1 მ., მღვდელი კირილე დანელია 5 მ., იოსებ ბუჭუას ძე ლეჟავა 5 მ., ბათუ მაქსიმეს ძე ქანდარია 2 მ., ნესტორ ბუჭუას ძე კაკაბაძე 5 მ., დიმიტრი ივანეს ძე ბარქაია 3 მ., პავლე ანდრიას ძე გენძეხაძე 3 მ., ოქროპირ ნიკოს ძე სანოძე 2 მ., ანდრია სიმონის ძე 2 მ., სევასტი გენძეხაძე 5 მ., მიხაილ ივანეს ძე სანოძე 10 მ., გიორგი თედორეს ძე სანოძე 3 მ., პოლიკარპე გრიგოლის ძე ბალანჩივაძე 3 მ., ყარამან შავდია 1 მ., ნიკოლოოზ გიორგის ძე ბახტაძე 2 მ., ილიკო გრიგოლის ძე ბალანჩივაძე 2 მ., ნესტორ სიმონის ძე გორდაძე 1 მ., ნესტორ ხუტუას ძე ნაჭყეპია 3 მ., პორფილე დავითის ძე რუხაძე 3 მ., კონსტანტინე ბაანას ძე ლორთქიფანიძე 5 მ., მოსე ნიკოს ძე სანოძე 2 მ., ნიკო მამუკას ძე ჭელიძე 2 მ., ერისტო დუხულას ძე ბახტაძე 20 მ., იოსებ ივანეს ძე ბახტაძე 3 მ., ვლადიმერ სალარაძე 2 მ., ვასილ გრიგოლის ძე ბახტაძე 8 მ., იოსებ გიორგის ძე ბახტაძე 4 მ., მღვდელი თომა გაბისონია 5 მ., სიმონ პეტრეს ძე ბახტაძე 3 მ., ლუკა პეტრეს ძე ბახტაძე 2 მ., ევთიმე ნიკოს ძე ბახტაძე 1 მ., ქუთაისის მაზრის სასამართლოს შეუწირავს 73 მ., 48 კ., ამ ფულისა ყოფილა შეწირულება დღემდის, რომელიც გამოცხადებულიც იყო ჩვენ გაზეთში, 1301 მ. 68 კ.. ამითი იქნება 1660 მ. 40 კ.

# დეპეშა

(ჩრდილოეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 დეკემბერი

**ლონდონი.** მშვიდობიან მორიგების საიმპერიო კომისსარი შანგინ-ხუანი ტიან-ძინიდგან ხმელეთის გზით ჩიფუში წავიდა; 6 იანვარს შანჰაიში ის მეორე კომისსარს შაოია-ლიენს შეხვდება, რომლის შემდეგაც ორივენი იაპონიისაკენ გაემგზავრებიან.

**სტამბოლი.** მინისტრთა უკანასკნელმა ბჭობამ, რომელიც სასახლეში მოხდა, მიიღო ის წინადადება, რომ არზრუმისა, ვანისა, ბითლისა და მუშის ვილაეტებიდგან ერთი ვილაიეტი შესდგეს, რომელსაც სულთანი უნიშნავს გუბერნატორს 5 წლით. პირველი გუბერნატორი მაჰმადიანთაგანი იქმნება, ხოლო დანარჩენნიკი ქრისტიანები, გარნა გუბერნატორობა მთავრობის განკარგულებით სომეხს არ მიეცემა. ადგილობრივთ ჟანდარმების უფროსად სულთანი დივიზიის გენერალს უნიშნავს. შემოსავალი ამ ვილაიეტისა ადგილობრივსავე საჭიროებას მოჰხმარდება, გარდა იმ განსაზღრულის თანხისა, რომელიც მთავრობას გარდაეცემა სახელმწიფო ვალის შესავსებლად და ან თამბაქოზედ დადებულს გარდასახადს მიემატება. მოსამართლეები არჩევანით იქმნებიან დანიშნულნი სასამართლოთა თავმჯდომარეების გარდა, რომელნიც აწ არსებულ კანონებით ინიშნებიან.

18 დეკემბერი

**პეტერბურგი.** უმაღლესის ბრძანებით, 17 დეკემბერს თავისისავე თხოვნის თანახმად სამსახურიდგან დათხოვნილ იქმნა გზათა უწყების მინისტრი გოფმეისტერი კრივოშეინი.

**სოფია.** კრებამ შეიწყნარა პროექტი საპოლიტიკო დამნაშავეთა პატიების შესახებ, ხოლო ამ პროექტიდგან გამორიცხულნი არიან: ყველა მინისტრები, რომლებიც დასჯილნი არიან 1883 წლიდგან სამსახურის დროს ჩადენილ დანაშაულთათვის, ყველა ის ვინც საზოგადო უფლების წინაშე დამნაშავედ არის ცნობილი და სამხედრო უფროსები, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს თავადის ალექსანდრეს ძალად დათხოვნაში. დრაგან ცანკოვსა და კარაველოვს დანაშაული ეპატიათ.

19 დეკემბერი

**სოფია.** იმ სხდომაზედ, რომელიც გუშინ საღამოს მოხდა, საერო კრებამ ერთხმად და გადაწყვეტით დაადგინა კანონი იმ დანაშაულთა და ბოროტ-მოქმედებათა შესახებ, რომელიც თავადის და იმის სახლობის წევრთა წინააღმდეგ არის ჩადენილი. კანონი სასტიკს სასჯელსა სდებს თავადის და მის ოჯახობის მცირეოდენ შეურაცხყოფისათვის. კრება სამშაბათს დაამთავრებს თავისს საქმეს.

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. ზრიტასკევიჩი**,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი.** 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი**, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7½ საათამდის.

**გ. ი. ფრანცუსი**, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

---

ამ დღეებში გამოვა გასაყიდად

თ. რაფიელ ერისთავის

**თხზულებანი**

პირველი ტომი

რომელშიაც მოთავსებულია ყველა ლექსები და არაკები; წიგნი შეიცავს 400 გვ. ავტორის პორტრეტით და ფაქსიმილეთი.

---

ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში ისყიდება ამხანაგობის ახალი გამოცემანი:

**საჭმარეულო**

ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა

მეორე გამოცემა

ახლად შევსებული და შესწორებული. შიგ მოთავსებულია ათასამდე დარიგება სხვა-და-სხვა საჭმელების მოსამზადებლად და სანოვაგის შესანახავად.

**ფასი მანეთ ნახევარი.**

---

**ცხოვრება**

დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა

თარგმნილი

მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი

**ფასი ერთი შაური**

ისყიდება ტფილისის ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| სატაური ან. თუმანიშვილისა . . . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 20 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . . | „ | 20 |